

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ირაკლი მუავანაძე
ჭვანისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: არქეოლოგია
თემის ხელმძღვანელი: ნ. ძნელაძე

ბიჭაური

2019

სარჩევი

შესავალი -----	3
თავი I. ჭვანისწყლის ხეობის შესწავლის ისტორია-----	4
თავი II. ჭვანისწყლის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება-----	7
თავი III. ჭვანის ხეობის ტოპონიმიკა-----	14
თავი IV. ჭვანისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები-----	24
წარმართული ძეგლები-----	24
ქვაკაცები-----	24
სასიმაგრო-თავდაცვითი ნაგებობები-----	26
ჭვანის ციხე-----	26
კავიანის ციხე-----	39
საგზაო ნაგებობები-----	41
ჭვანის (ვარჯანაულის) თალიანი ხიდი -----	42
ხაბელაშვილების ხიდი -----	43
დასკვნა-----	45
გამოყენებული ლიტერატურა-----	46
ილუსტრაციები-----	48

შესავალი

აზიისა და ევროპის გასაყარზე მდებარე საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა დონეზე ურთიერთობის სფეროში. აჭარისწყლის ხეობა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი იყო, რომელიც ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს აკავშირებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. ჭვანისწყლის ხეობა, მის ერთ-ერთ არც თუ უმნიშვნელო განშტოებას და თავდაცვითი და საგზაო სისტემის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, რომელიც ხეობის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით შედარებით ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი. რეგიონის არქეოლოგიური შესწავლა აქტუალურია და გრძელდება. აქამდე საფუძვლიანად და სრულყოფილად შესწავლილი ხეობის თავდაცვითი სისტემის მთავარი რგოლი - ჭვანის (ტაკიძეების) ციხე. აღნუსხულია, მაგრამ არაა ბოლომდე შესწავლილი ამ რგოლის შემადგენელი სხვა ნაწილები.

თავი I. ჭვანისწყლის ხეობის შესწავლის ისტორია

ჭვანისწყლის ხეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არც თუ ისე ბევრი ცნობაა შემონახული. ხეობასთან დაკავშირებულ ყველაზე ძველ ინფორმაციად „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ორი ტოპონიმი მიიჩნევა: „გომარდა“ და „ნალუარევი“. ვარაუდობენ, რომ ტექსტში სწორედ ჭვანისწყლის ხეობის ორი სოფელი გომარდული და ნალვარევი ნაგულისხმევი¹. ასევე, ცნობილია ივანე ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული, სახელთა საძიებელში მოხსენიებული კიდევ ერთი ტოპონიმი, „ძალიანის ხევი“, რომელიც ჭვანისწყლის შენაკადი, ძალიანის წყალი უნდა იყოს².

მკვლევრებიდან, რომელთა ყურადღების არეალში მოექცა ჭვანისწყლის ხეობა, ერთ-ერთია გ. ყაზბეგი, რომელიც თავის თხზულებაში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“³ ჭვანის ხეობას მიმოიხილავს და ამ ხეობაზე გამავალ გზას გურიასთან სავაჭრო ურთიერთობების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

1 ქართლის ცხოვრება, ტომი 2, თბილისი, 1959, გვ.260

2 ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 2, თბილისი, 1983, გვ. 484

3 გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 54, 56, 57, 58.

დავით ბაქრაძე⁴, თავისი მხრივ, ხინოში წასასვლელად ინწკირვეთის წყალსა და ჭვანა-ხაბელაშვილებზე გამავალ გზებს შორის არჩევანისას ამ უკანასკნელს ირჩევს. თედო სახოკიას თხზულებაში ჭვანის ხეობა ფიგურირებს ბავშვების მოტაცების თემასთან დაკავშირებით. განიხილავს რა გურიიდან ჭვანელი ქათამაძის მიერ ორი ბავშვის მოტაცების საკითხს, მმართველ წრეებში გაბატონებულ მექრთამეობაზე ამახვილებს ყურადღებას⁵. თ.სახოკია ასევე საინტერესო მოვლენად თვლის, რომ სხვა რელიგიის, ისლამის მიღების მიუხედავად ქართული ენა პირვანდელი სიწმინდითაა დაცული შიდა აჭარაში. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს და აღფრთოვანებულია ჭვანის ხეობის მოსახლეობის სალაპარაკო ქართულით.

აჭარის სოფლების კვლევა წარმოუდგენელია ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომის „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ (1913 წ) გარეშე.

ფასდაუდებელია იური სიხარულიძის წვლილი აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის კვლევის საქმეში. მან ფეხდაფეხ შემოიარა საქართველოს კუთხეები და შეაგროვა უმდიდრესი ტოპონიმიკური მასალა. მნიშვნელოვანია მისი 1958-59 წწ გამოქვეყნებული ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მიხეილ ქამადაძის კვლევები, მისი ნაშრომი „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“ (1992 წ), სადაც გამოკვლეულია ტოპონიმთა წარმოქმნის ძირითადი საშუალებები, გარკვეულია

4 დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987, გვ. 67

5 თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 163

6 თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 235

გეოგრაფიულ სახელთა ტიპები და მოდელები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სტატია „ტოპონიმ ჭვანას ეტიმოლოგიისათვის“ (2004 წ).

1993 წელს გამოქვეყნდა შოთა მამულაძის „აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები“, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ჭვანის ხეობის ძეგლებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. შალიკავას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ჭვანის ხეობა“. მასში წარმოდგენილია მაღალმთიანი აჭარის ტრადიციებით გამორჩეული ერთ-ერთი რეგიონის, ჭვანის ხეობის წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა, ხალხური გადმოცემების საფუძველზე განხილულია ხეობის ადგილთა სახელები.

1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიციის კვლევის ობიექტი შუახევის რაიონის ჭვანის ხეობა იყო. ექსპედიციას პროფესორი ა. რობაქიძე ხემძღვანელობდა. ამავე პერიოდში მუშაობდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშკთა ჯგუფი. ექსპედიციას დაგეგმილი ჰქონდა ჭვანის ხეობის სოფლების (ტაკიძეები, ცივაძეები, ახალდაბა, წყაროთა, ჭალა, ბარათაული, გომარდული, ზემოხევი, ვანი, ბრილი, ინწკირვეთი, წყალსაყარი, ხაბელაშვილები და ნალვარევი) შესწავლა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჭვანის ხეობის წარმართული ეპოქის ძეგლებმა: ქვაკაცებმა, შვიდის ანუ სამსხვერპლო ტბამ. მნიშვნელოვანი იყო უზარმაზარი ქვებით შემოვლებული ნასოფლარების მეცნიერული შესწავლა. ექსპედიციამ ასევე სოფელ ნალვარევში აღმოაჩინა ძველი ნაგებობის შემორჩენილი კედელი. ამავე სოფელში მცხოვრები მ.

კილაძის ეზოში აღმოჩნდა კვლად აღმართული დიდი ზომის მონოლითები, რომლებიც მკვლევრებმა დოლმენურ ნაგებობებს მიაკუთვნეს.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სოფელ ნაღვარევში სასილოსე კომპის ჭრილის გაკეთებისას უპოვნიათ ძველი სამარხი, რომელშიც თიხის სხვადასხვა ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის დოქები, ჯამები, სასმისები და სხვა სამარხიერი ინვენტარი დაფიქსირდა. ასევე, სოფელ ზემოხევში გზის გაყვანისას აღმოჩენილა სამარხები.


ამ ხეობაში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მკვლევართა ყურადღება მიიპყრო მევენახეობასთან დაკავშირებულმა თიხისა და იარაღ-ინვენტარმა. მარან-საწნახელებმა, ვებერთელა ჭურჭელმა და ასე შემდეგ. ჭვანის მცხოვრებლებს ბევრჯერ უნახავთ დიდი ზომის ქვევრები. ერთ ერთ ასეთ ქვევრში აქაურები სიდიდის გამო კიბით ჩადიოდნენ და ბავშვობისას „ხორუმს“ ცეკვავდნენ თურმე შიგ. ასეთივე ქვევრები იქნა მიკვლეული სოფელ ჭალაში. მკვლევრებმა ჭვანაში სულ აღწერეს და შეისწავლეს დიდი ზომის 9 საწნახელი, ცხემლისში -7, ჭალაში - 10, ბრილში - 30, ინკირვეთში - 15, ნაღვარევში - 20. ქვევრებისა და საწნახელების სიმრავლე იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ხეობაში კარგად ყოფილა განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა⁷.

თავი II. ჭვანისწყლის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

7 თეიმურაზ კომახიძე, წარსულის გადასახედიდან. გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 1999 წ. გვ. 6-8.

ჭვანის ხეობა მდებარეობს შუახევის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში. ხეობაში მდინარე ჭვანისწყლის აუზი შედის (სურ.1). ჭვანის ხეობა ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია აჭარა-გურიის ქედით, მისი აღმოსავლეთი საზღვარი გორაკეთილსაფილეთის ქედზე მოდის, სამხრეთი - მდინარე აჭარისწყალზე, ხოლო დასავლეთი ჩაქვისა და ქობულეთის ქედებზე. ადმინისტრაციულად ხეობა შემოსაზღვრულია ქედის, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხულოს მუნიციპალიტეტებითა და შუახევის მუნიციპალიტეტის შუახევისა და ზამლეთის საკრებულოებით. ჭვანისწყლის ხეობის უმაღლესი მწვერვალი პერანგაა (სიმაღლე - 2294 მ). მთაგორიან ჭვანის ხეობას მთელ სიგრძეზე კვეთს მდინარე ჭვანისწყალი შენაკადებით. ხეობის ძირითადი ნაწილი მოქცეულია საშუალო სიმაღლის და მაღალ მთა-ხეობათა წყალგამყოფის ზონაში. გეოგრაფიულ-პეტროგრაფიულად ჭვანისწყლის ხეობა ზედა ეოცენის, შუა ეოცენისა და ნაწილობრივ ქვედა ეოცენის ქანებით არის წარმოდგენილი. ჭვანის ხეობის მთები აგებულია ერთმანეთისაგან შემადგენლობითა და ასაკით განსხვავებული დანალექი და ვულკანური ქანებისაგან. მხარის რელიეფი საკმაოდ რთულია, ძირითადად მთებისა და ღრმა ხეობებისაგან შედგება. აქ ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული ჰავა, ნოტიო ჰავა შედარებით ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულითა და ნოტიო ჰავა ცივი ზამთრითა და ცხელი მოკლე ზაფხულით. ხეობის ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდინარე ჭვანისწყლითა და მისი შენაკადებით, რომელიც აჭარა-გურიის ქედის სამხრეთი კალთებიდან მოედინება. მისი სიგრძეა 40 კილომეტრი.

8 ნ. ჯიბუტი, ნ. ნიჟარაძე, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957



სურ. 1

მდინარე ჭვანისწყლის მარჯვენა შენაკადებია: ჭინჭაოს წყალი, გიდელას წყალი, გიდევლას წყალი, ოთოლთას წყალი. მდინარის მარცხენა შენაკადებს

ძალიანის წყალი, ხევას წყალი, ფოთაროს წყალი, ინწვირვეთის წყალი, ბარათაულის წყალი წარმოადგენს. ჭვანის ხეობის ტბებიდან აღსანიშნავია ლელთის ტბა სოფელ ნალუარევთან (ფართობი - 1000 კვ მ, სიგრძე 1-2მ), გორას ტბა სოფელ ინწვირვეთის სიახლოვეს (ფართობი - 2000 კვ მ, სიღრმე - 1-1,5 მ. მცენარეული საფარიდან გავრცელებულია ფართოფოთლიანი ტყეები, რომელთაც ალაგ-ალაგ ერევა ნაძვი და ფიჭვი. აღსანიშნავია წიფლის, ცაცხვისა და თელას სიჭარბე მაღალ ტყეში. შუა სარტყელში ნაძვნარი და სოჭნარია წარმოდგენილი. მაღალმთის მცენარეულობის ზედა საზღვარზე სუბალპური ტყეები, უფრო ზევით კი - ალპური ზონაა. აღინიშნება ცხოველთა მდიდარი სამყარო. რაც შეეხება სასარგებლო წიაღისეულს, სოფელ ხაბელაშვილებში გაბრო-დიორიტების საბადოა. აქ მოქმედებს ქვის სახერხი საამქრო, სადაც მიმდინარეობს ძვირფასი სამშენებლო ქვების დამუშავება. მნიშვნელოვანია სოფელ ბრილის კერამიკული საბადო. ამ სოფლის უბნებში (ნაზიარევი, გალმაკისრობი, ცაცხვნარი, ნახიზნევი, ნაბოსტნევი) აღმოჩენილი თიხა ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი გამოსადეგია აგურის, კრამიტისა და კერამიკულ ნაკეთობათა დასამზადებლად. ბაბანურში, საფილეთსა და ღარისბანოში ცნობილია მინერალური და გოგირდოვანი წყლები⁹.

აჭარის ისტორია, რომელიც სრულიად საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ჭვანისწყლის ხეობასაც მოიცავს, შორეულ წარსულში იღებს სათავეს. აჭარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად იყო და არის „ქართველ ტომთა განსახლების მხარე, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის აკვანი, ანტიკური და ფეოდალური ეპოქის ქართული კულტურის მძლავრი კერა, დამაკავშირებელი ხიდი

9 მ. შალიკავა, ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2009, გვ.13-14

აღმოსავლურ და ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან“ 10 . აჭარა, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიულად ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია იყო. იგი ძვ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფოს ოძრხის საერისთაოში შედიოდა. VIII საუკუნიდან ბაგრატიონთა სამფლობელოს ნაწილად იქცა. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარა საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა და კლარჯეთთან ერთად აბუსერისძეთა საერისთაოს შეადგენდა. XIII საუკუნის შუახანებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთი საერისთაო იყო. XIII საუკუნის 80 იანი წლებიდან ზემო აჭარის სანჯაყის გამგებლობაში ხიმშიაშვილების საგვარეულოს ხელში გადავიდა, რომელთა რეზიდენცია ხულოში მდებარეობდა. შემდგომი პერიოდი საყოველთაოდ ცნობილია. თურქთა სამასწლიანი ბატონობა, გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლები და არაერთი ამბოხი დამოუკიდებლობისათვის. აჭარას, მის მოსახლეობას, მთასა თუ ბარს უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის ფასად დაუჯდა ეროვნულობის, ენისა და სარწმუნოების შენარჩუნებისთვის მრავალწლიანი ბრძოლა. სამწუხაროდ, რეგიონში, სადაც, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, I საუკუნეში მოვიდა ანდრია პირველწოდებული და იქადაგა ქრისტიანობა, შეუძლებელი აღმოჩნდა ქრისტიანობის შენარჩუნება. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულისათვის აჭარაში მუსლიმანობა გაბატონებულ რელიგიად იქცა. ყოველივე ამას კი სათავე მეთერთმეტე საუკუნეში ე. წ. „დიდთურქობის“ (1080 წ) დროს სამხრეთიდან სელჩუკების პირველმა აოხრებამ დაუდო. XVI საუკუნის 70-

10 შ. ვარშანიძე, აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1957 წ. გვ. 3

იანი წლებიდან კი იწყება თურქთა სამასწლიანი ბატონობა. აღსანიშნავია აქაური ხალხის, მათი წინამძღოლების გმირული თავგანწირვა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის. მათი გაუტეხელი სული და რწმენა, რომ გურჯისტანი ოსმალეთს არ შერჩება. ასეთი იყო ვითარება 1878 წლამდე, ვიდრე აჭარა დედა-სამშობლოს შეუერთდებოდა. ჭვანის ხეობაში, მით უფრო ხეობის ბარის სოფლებში ამ დროისათვის უფრო მჭიდრო დასახლებები იქნებოდა. აქაური ჰავა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მინათმოქმედების, მეხილეობა-მევენახეობის განვითარების ოპტიმალური პირობები იძლევა ამის საფუძველს. ჭვანისწყლის ხეობა ისევე, როგორც სხვა ბევრი ხეობა აჭარისა, სრულად არაა შესწავლილი არქეოლოგიურად. გამონაკლისს წარმოადგენს ჭვანის ციხე, რომელმაც მატერიალური კულტურის უნიკალური ნიმუშები გამოავლინა. არქეოლოგიური გათხრებით ციხეზე მტკიცდება, რომ ჭვანისწყალი ძველთაგანვე იყო დასახლებული. განვითარებული იყო მინათმოქმედება, მევენახეობა და მეღვინეობა, მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა და მეთუნეობა. ამის დასტურია დიდი ზომის ქვევრები (ჭურები) ჭვანის ციხეზე და, ასევე, თითქმის ჭვანის ხეობის ყველა სოფელში. სოფელ ჭალაში მეცხოველეობის მეცხოველეობის ფერმის შენობის საძირკვლის მოსწორების დროს 6 დიდი ზომის ქვევრი აღმოჩნდა, ასევე, ქვევრები აღმოჩენილია სოფელ ცივაძეებში, ნაღვარეულში, ჭვანაში, ახალდაბაში, ცხემლისში და სხვაგან. მეთუნეობა ყველა სოფელში თუ არა, უმრავლეს სოფლებში მაინც კარგად ყოფილა განვითარებული, რადგან მაშინდელი უგზოობის პერიოდში შეუძლებელი იყო ასეთი ქვევრების ერთ სოფლიდან მეორე სოფელში გადატანა, რომელთა მოცულობა ზოგჯერ ერთ ტონაზე მეტი ტევადობის არის. მიგნებული თიხის ნაკეთობათა წარმოების პერიოდში და უფრო ადრე, ჭვანისწყლის ხეობა,

ისევე როგორც აჭარის მთიანეთი, ქართველებით, ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით ყოფილა დასახლებული. ჭვანისწყლის ხეობის სოფლების აღდგენა-განახლებას, მკვიდრი მოსახლეობის მხარდამხარ, მეზობელი რეგიონებიდან სხვადასხვა მიზეზით გადმოხვეწილი ძირძველი ქართველები აწარმოებდნენ. მთიან აჭარაში, ისევე როგორც ჭვანისწყლის ხეობაში არასდროს არ ჩამოსახლებულან უცხოტომელები. მიგრაციის პროცესები ოდითგანვე დამახასიათებელია ჭვანისწყლის ხეობისთვის. იგი განპირობებული იყო არა მარტო ჭარბი მოსახლეობითა და მიწის სავარგულების სიმცირით, არამედ არც თუ იშვიათად სარწმუნოების შენარჩუნებისთვის ზრუნვითა და ყოფით ნიადაგზე წამოჭრილი პრობლემებით. ჭვანისწყლის ხეობის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანობის შენარჩუნებისთვის მეზობელ რეგიონებში გადასახლდა. ამ ხეობის მკვიდრის, მწერლისა და მკვლევრის რამაზ სურმანიძის მიერ მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ ქართველი ქიმიკოსის, პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის წინაპრები სოფელ ჟანივრიდან იყვნენ. ახლაც ცხოვრობენ ამ სოფელში მელიქაძეები¹¹. ამჟამინდელი ჭვანის ხეობის მკვიდრთა წინაპრების მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვადასხვა დროს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არიან მუდმივ საცხოვრებლად გადმოსული. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ მათი გადმოსახლება ოსმალთა შემოსევამდე ანდა მათი სრული მმართველობის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ზუსტი წერილობითი წყაროები არ არსებობს, მაგრამ გადმოსულთა ახლანდელმა შთამომავლობამ, არათუ თავისი აქ გადმოსული პირველი წინაპრის სადაურობა, სახელიც კი კარგად იცის.

11 რამაზ სურმანიძე „გაზეთი აჭარა“ 26 აპრილი 1997წ

მაგალითად, ქათამაძეებმა, რომლებიც ხეობის თითქმის ყველა სოფელში არიან დასახლებული და თანაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი, იციან, რომ მათი ჭვანაში გადმოსული პირველი წინაპარი იმერელი ბასო, ან ბესო ქათამაძე ყოფილა. ასევე ითქმის შარაშიძეების მრავალრიცხოვან შთამომავლობაზე, რომლებიც გურიიდან გადმოსულან. ასევე გურიიდან არიან გადმოსახლებულები მამალაძეები, მახარაძეები. მესხეთიდან არიან ჩამოსახლებულები წილოსნების, დიასამიძეების, ათაბაგებისა და ჯაყელების წინაპრები. ხეობის ზოგიერი მკვიდრის წინაპარი ქედის რაიონიდან იყო ჩამოსახლებული: კონცელიძეები, ბოლქვაძეები, სურმანიძეები და მსახურაძეები. ხულოდან გადმოსახლებულან ართმელაძეები და რიჟვაძეები.

სარწმუნოების შენარჩუნებას, ამჯერად უკვე მუსლიმანობისას, მოჰყვა ემიგრაციის დიდი ტალღა, რომელიც უფრო გვიან განვითარდა და მუჰაჯირობის სახელით შევიდა ისტორიაში. მიგრაციის პროცესი უცხო არ იყო ჭვანის ხეობისათვის. ბერლინის კონგრესზე, სადაც ოფიციალურად იქნა დაფიქსირებული აჭარის დედსამშობლოსთან, საქართველოსთან შეერთება, რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ქართველი მუსლიმანების თურქეთში მუჰაჯირად გადასვლაზე. ქართველი ინტელიგენცია, გამოჩენილი ერის კაცები ხმას იმაღლებდნენ მუჰაჯირობის აღსაკვეთად. თედო სახოკიას აზრით, ომის დამთავრების შემდეგ მთელს მხარეში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ომში იყო ჩართული და ხვნა-თესვისათვის აღარავის ეცალა, რამაც ხალხი ააღელვა და აიყარა. მუჰაჯირობამ უამრავი ქართული ოჯახი გადახვეწა თურქეთში, არამართო ბარის რაიონებიდან, აჭარის მთიანეთიდანაც და, მათ შორის, ჭვანის ხეობიდანაც. სოფელ ჭალიდან 14 ოჯახია წასული მუჰაჯირად თურქეთში, ახლდაბიდან - 4, ცივაძეებიდან - 1 და თითქმის ჭვანის ხეობის ყველა სოფლიდან. XVI საუკუნის 60-იან წლებში,

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებთან ერთად, ოსმალებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაც დაიპყრეს. მოხდა ხეობის აღწერა და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემის შექმნა, რის შედეგადაც აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთის იმპერიაში აჭარის ლივის (იგივე სანჯაყის), ანუ სადროშოს სახით იქნა გაერთიანებული. სულთან სელიმ მეორის (1566-1574 წწ) დროს შედგენილი ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტს წარმოადგენს. დავთარში დასახლებულია ხეობის ყველა სოფელი რიონის აღნიშნულით, რასაც მოჰყვება მოცემულ სიფელში დასახლებულ კომლთა სია. ამ დავთრით ვგებულობთ, რომ ჭვანა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული სოფელია, 20 კომლით. მითითებულია, რომ ჭვანა ახლოს არის გომარდიდის ანუ გომარდულის და ჭალის სოფლებთან. დავთრის მიხედვით წყაროთაში 4 კომლია და ბარათაულში 5 კომლი, ჭვანის ხეობის სხვა სოფლები ნახსენები არაა¹².

ჭვანის ხეობაში სამი სასოფლო საკრებულოა: 1) ჭვანის თემი, 2) ბარათაულის თემი, 3) წყალსაყრის თემი. ჭვანის თემი აერთიანებს 11 დასახლებულ პუნქტს: საკუთრივ ჭვანა, ახალდაბა, ვარჯანაული, ზედაყანა, ტაკიძეები, ცეკვა, ცივაძეები, ცხემლისი, წყაროთა, ჭალა და ხიჭაური. ბარათაულის თემის საკრებულოში შედის ზემოხევი, ბარათაული, გომარდული და ვანი. წყალსაყრის თემის საკრებულოში შედის ხაბელაშვილები, ჟანიერი, წყალსაყარი, ბრილი, ინწკირვეთი და ნაღვარევი.

12 ზაზა შაშიკაძე, აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ოსმალთა აღწერის დავთრები, ანკარის მიწის კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივის აღწერის დავთარი 272; ზაზა შაშიკაძე, მირიან მახარაძე, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი, 2011, გვ. 17-18

თავი III. ჭვანის ხეობის ტოპონიმია

ჭვანის ხეობის მდიდარი ტოპონიმიკიდან წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საკვლევ ტერიტორიის მხოლოდ იმ ტოპონიმებს, რომელთაც კავშირი აქვთ სასიმაგრო-თავდაცვით, საგზაო და რელიგიური ხასიათის, განსაკუთრებით საეკლესიო ნაგებობებთან.

უპირველეს ყოვლისა, ტოპონიმთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს თავად ხეობის სახელწოდების - ჭვანა - ეტიმოლოგია წარმოადგენს. ხალხური გადმოცემების მიხედვით, სახელწოდება „ჭვანა“ მცენარეული წარმოშობისაა, იგი ჭვავისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. წინათ ამ მხარეში მრავლად ითესებოდა ისეთი მარცვლეული კულტურები, როგორცაა: ჭვავი, ასლი, ქერი, ღომი, ხორბალი, ფეტვი და სხვა. ამაზე მეტყველებს ადგილობრივად შემონახული ტოპონიმებიც: ნაჭვავარი, ნაქერვალი, ნაასლარი, ნაპურვალი, ნალომვარი, ნაფეთვარი და ა.შ.

ჭვანა ხეობის დასაწყისში მდებარე სოფლის სახელია, რომელიც შემდეგ მთელ ხეობაზე გავრცელებულა. გადმოცემით, ამ სოფლის ძველი სახელი „საბედიანო“ ყოფილა. იგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან და გურია-იმერეთიდან საშოვარზე წამოსული „ბედის მაძიებელი“ ადამიანებით ყოფილა დასახლებული. სავარაუდოდ, აქედან გაჩნდა სახელწოდება „საბედიანო“. რა თქმა უნდა, ტოპონიმს არანაირი კავშირი არა აქვს ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინ „საბედიანო“-სთან, რომელიც XV ს მეორე ნახევრის ოდიშის სამთავროს აღსანიშნავად დაამკვიდრა ივანე ჯავახიშვილმა და

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ დადიანთა წოდებისგან „ბედიანი“ მომდინარეობს 13. ტოპონიმი „ჭვანის“ შესახებ გარდა ზემოთ მითითებულისა, არსებობს სხვა, ადგილობრივ მოსახლეობაში ფეხგადგმული და უფრო პოპულარული ვერსიაც: იმერეთის სოფელ ამალლებიდან ჭვანაში საცხოვრებლად ჩამოსულ მღვდელ ონოფრე ამალლობელს აქ ამალლების ეკლესია დაუარსებია. მამა ონოფრე ბრძენი და „ჭკუა-ნელი“, „ჭკვა-ნელი“ კაცი ყოფილა, ამიტომაც ხეობის პირველ სოფელს მის საპატივცემულოდ ჭვანა დარქმევია, შემდეგ კი ეს სახელი მთელს ხეობაზე გავრცელებულა.

ლოკალურ სახელწოდებათა წარმოქმნის მეცნიერული ანალიზის მიხედვით ტოპონიმი „ჭვანა“ მცენარე კაპარს უკავშირდება, რომელიც ამ მხარეშია გავრცელებული. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ქამადაძის გამოკვლევით აჭარაში ტოპონიმების ამოსავალი ხშირად ადგილობრივი წარმომავლობის მცენარეთა სახელებია, რომელთა სახელი მივიწყებულია, მაგრამ გეორაფიულ სახელს შემოუნახავს იგი. მათ რიგს მიეკუთვნება დღეს ჯონჯოლის სახელით ცნობილი კაპარი (სულხან-საბა - კაპარი-ბალახი). ადგილს, სადაც გავრცელებული იყო მითითებული მცენარე, მთიან აჭარაში ეწოდებოდა კაპარჭვანი/კაპაროვანი, სადაც გამოიყოფა სახელი კაპარი და სუფიქსი-ოვანი, აღნიშნული ფორმატი ქონების გამომხატველია (მაგ. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოში დაფიქსირებულია სათესი ადგილის სახელი - კაპარჭოვანი). დროთა განმავლობაში, მან საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა, ო ხმოვნის ადგილი დაიკავა უფუნქციო ჭ-მ. ამასთან სახელწოდებაში მივიწყებას მიეცა ფუძე - სიტყვა

13 ბერაძე თ., ქსე, ტ. 8, გვ. 548, თბ., 1984

კაპარი. ამრიგად, ტოპონიმმა საბოლოო ფორმამდე ცვლილებათა მთელი კასკადი გაიარა: კაპაროვანი-კაპარჭოვანი - კაპარჭვანი - ჭვანი - ჭვანა¹⁴.

ტოპონიმი „კავიანი“ საკმაოდ პოპულარულია ხეობაში: კავიანი - ტყე (ბარათაული), კავიანი - სოფლის უბანი, კავიანის სერი, კავიანის ღელე, კავიანის ჭალები (ბრილი), კავიანი - სათიბი (ვანი), კავიანი - ტყე, კავიანის ღელე (ინწკირვეთი), კავიანი - ტყე (ჟანივრი), კავიანიციხე (ტაკიძეები). ჩვენს შემთხვევაში, ის საინტერესოა როგორც ციხის სახელწოდება. ტოპონიმი -იან სუფიქსით გაფორმებულ გეოგრაფიულ სახელებს მიეკუთვნება. „კავი“ უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ახსნილია, როგორც: 1. ნავის ღუბა; მიწის სახვნელი ძველებური იარაღი, აჩაჩა; სახურავის ლატანი, რომელზედაც მაგრდება სახურავი და კრამიტი; ვაზის უღვაში, რომლითაც ის ჭიგოს ეხვევა; მოკაკული, მოლუნული რკინა ან ხე (სულლხან-საბა). კავიანი - ის, რასაც კავი აქვს. საინტერესოა „კავი“-ს განმარტება ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში - „პრიმიტიული სახვნელი იარაღი, ძირითადად გავრცელებული იყო მთიან რეგიონებში. შედგება მხარის, კბილას, ერქენისა და სახნისისაგან. კავის ვარიანტებია ჩუთკავი და კავწერა, რომელიც გამოიყენებოდა ნიადაგის გასაწერად, რათა შემდგომ გუთანს უფრო გაიოლებოდა ხვნა“.

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი ობიექტი ხაბელაშვილების ხილია. საინტერესოა სოფლის და, შესაბამისად, ხიდის სახელის ეტიმოლოგია. სოფელი ხაბელაშვილები მდებარეობს სოფელი ჭვანიდან 6 კილომეტრში მდინარე ჭვანისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ადგილობრივი მაცხოვრებლის იური ბერიძის გადმოცემით, სოფლის

14 რ. უზუნაძე, სახელწოდება ჭვანის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „აჭარა“, N5, 2003 წ

სახელი უკავშირდება პიროვნებას, რომელსაც ერქვა საბულია. საბულიას ჰყოლია 9 ვაჟი. მისი გარდაცვალების შემდეგ, რთული საცხოვრებელი პირობების, კერძოდ, რელიგიური დევნის, გადასახადებისა და მოუსავლიანობის მიუხედავად, მისი შვილები ამ ადგილას დარჩენილან და სოფელს საბულიას შვილების მიმსგავსებით საბელაშვილები დარქმევია.

ცალკე გამოყოფთ ტოპონიმებს, რომლებიც რელიგიასთან, რელიგიურ ნაგებობებთანაა დაკავშირებული. ხეობის თითქმის ყველა სოფელში დაფიქსირებულია ტოპონიმები: ნაეკლესიარი (ჭვანა), ნასაყდრევი (ინწკირვეთი), ნაქილის(ვ)არი (ცხემლისი, უანივრი, ბრილი, ვარჯანაური, ზემოხევი), ჯვარიმინდორი (წყალსაყარი, ცხემლისი), ნაჯამვურები (ნაღვარევი, ბარათაული), ჯამიკარი (ახალდაბა, ბარათაული, ნაღვარევი, ინწკირვეთი, ბრილი, წყაროთა, ვარჯანაული), თარიანგელო (სავარაუდოდ, მთავარანგელოზი. სახელწოდება თარანგელოზის მთა ასევე დასტურდება დიდაჭარაში) (ცივაძეები (კივრიში), ტაკიძეები), ბერაული (წყაროთა), სამება (ჭალა), ჯვარი (ბარათაული), ჯვართავი (ბარათაული), ხუცური (ცხემლისი). წარმართულ რწმენა წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმებია ქვაკაცა (ცხემლისი, ნაღვარევი, საბელაშვილები) და შიდი ტბა (ნაღვარევი, მერიაყელის მთა).


სოფელ ჭვანაში არის ტოპონიმი ნაეკლესიარი, რომელზეც ადგილობრივი მკვიდრი დავით ქათამაძე გვანჯდის ცნობებს, რომ სოფელ ჭვანიდან ბარათაულისკენ მიმავალ გზაზე არის თაღოვანი ხიდი, რომელიც სოფელ ჭვანას აკავშირებს სოფელ ჭალასთან და ამ ხიდის მარცხენივ 200 მეტრში მდებარეობს მეჩეთი, რომელიც დაშენებულია ნაეკლესიარზე. ახლაც კარგადაა შემონახული

საძირკველი, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ჯვრების გამოსახულებები, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაუშლიათ¹⁵.

რამაზ სურმანიძის (ადგილობრივი მკვიდრი) გადმოცემით სოფელ ჭალაში იყო ეკლესია სამების სახელობის და ადგილობრივები ამ ადგილს სამებას ეძახიან. აქ ეკლესია ჯერ ხის ყოფილა, შემდეგ აუშენებიათ ქვის ეკლესია, რომელიც დანგრეულა. სანდრო სარაშიძემ ამ ადგილას ააშენა ადგილობრივთა დახმარებით წმინდა სამების სახელობის ეკლესია და დაუბრუნა სოფელს ეკლესიის კუთვნილი 300 წლის წინათ შემოქმედში წაღებული ჯვარი.

სოფელ ცხემლისში ჩავიწერეთ ადგილობრივი მცხოვრებლები: დავით მუჟავანაძე (დაბადებული 1942 წელს) და უმიან დავითაძე (დაბადებული 1937 წელს).

15 იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ბათუმი, 1958, გვ. 74



რესპოდენტების თქმით, მათი წინაპრების გადმოცემით, ცხემლისში არსებობდა პატარა მარლთმადიდებლური სამლოცველო. ადგილობრივები ადგილს, სადაც სამლოცველო იყო, ნასაყდრალს უწოდებენ. მგელაძეების დასახლებასთან (სოფლის უბანი) ხელოვნურად შემალლებულ გორას სამკუთხედის ფორმა აქვს, ყელი ხელოვნურადაა მოსწორებული. ბორცვის ირგვლივ ადრე ბზა იყო გაშენებული, რომელიც სამლოცველოს გარს უვლიდა. ამჟამად ბზა ცოტაა დარჩენილი და უმეტესი ნაწილი გამხმარია. ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ნაშალი ქვის წყობა, რომელიც იქვეა მიმოფანტული. რამდენიმე ფრაგმენტია შემორჩენილი საძირკვლის, რომელიც ციხის სამხრეთით მდებარეობს. მონათხრობის მიხედვით, აქ უპოვნიათ საკმაოდ დიდი ზომის ქვა, რომელზეც გამოსახული იყო ჯვარი და მრგლოვანით შესრულებული წარწერა. აღნიშნული ქვა, ადგილობრივების გადმოცემით, ქვა უცნობ პირებს წაუღიათ. აღნიშნული

ტერიტორია, სადაც სამლოცველო იყო, ამჟამად ადგილობრივი მცხოვრების - ტარიელ მგელაძის კუთვნილებაშია.

ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი საშუალო ზომის ქვევრი, მინაში ჩადგმული. ქვევრები კარგადაა შემონახული, მხოლოდ ერთ ქვევრს აქვს ყელის ნაწილზე დაზიანება. ამჟამად ქვევრები გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის. აღნიშნულ ტერიტორიაზე ამჟამად დგას ნაღია და მის ქვეშაა მოქცეული ქვევრები, ნაღიასთან ახლოს ჩრდილოეთის მხარეს არსებობს ორი სასაფლაო, რომელიც გადმოცემით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის უნდა იყოს.

სასაფლაოზე განთავსებულია ქვები, რომლებიც სამლოცველოს ეკუთვნის (მოხრობელები: დავით მუავანაძე, 77 წლის და უმიან დავითაძე, 83 წლის. ჩანერის დრო: 2 მაისი 2019 წელი).

ვარჯანაული, სადაც ადგილობრივი მკვიდრი ვაჟა ჭალაიძე (დაბადებული 1941 წ.) ჩავიწერეთ, მდებარეობს სოფელ ჭვანიდან სამი კილომეტრის მოშორებით ჭვანის წყლის მარჯვენა სანაპიროზე. გადმოცემით სოფლის შესასვლელთან, შემადლებულ ადგილას მდებარეობდა ეკლესია. ეკლესია ამჟამად დანგრეულია და პირველი სართულის დონეზე ქვის წყობაა შემორჩენილი, ზემოდან კი მეჩეთია დაშენებული. ნაეკლესიარის ისტორია ასეთია: ეკლესიაში ყოფილა ვინმე მღვდელი, რომელიც ოსმალობის დროს ახალციხეში დაუბარებიათ და იქ 40 დღე გაუჩერებიათ. 40 დღის გასვლის შემდეგ მღვდელი დაბრუნებულა სოფელში და ეკლესია აღარ დახვედრია, დაუნგრევიათ და მეჩეთი დაუშენებიათ. ეკლესიაში არსებული ხატი მდინარეში გადაუგდიათ. ბერს მოუძებნია ხატი, რომელიც

გადაუტანია ხინოში, ხინოდან კი შემოქმედში მომხვდარა ეს ხატი (მთხრობელი: ვაჟა ჭაღალიძე, ჩანერის დრო - 7 მაისი 2019 წელი).



სოფელ ჟანივრში ადგილობრივი მკვიდრის ტარიელ ბერიძის (დაბადებული 1979 წელს) გადმოცემით სოფელში არსებობს ნაეკლესიარი, რომლის ისტორია

უცნობია, მაგრამ ადგილობრივები ამ ადგილს ნაეკლესიარის, ნაქილისვარის ტოპონიმით მოიხსენიებენ. ნაეკლესიარი მდებარეობს ბრილის გადასახვევის (სოფლის უბანი) მარჯვენა მხარეს. ტერიტორიაზე ამჟამად მარტო ქვის წყობაა შემორჩენილი (მთხრობელი: ტარიელ ბერიძე, დაბ. (1979 წელს) 15 მაისი 2019 წელი.



სოფელ ახალდაბაში, სოფელში შესვლამდე, ხელმარჯვნივ არის გადასახვევი, რომელსაც ადგილობრივები ნასაყდარის, ნაქართლის სერს უწოდებენ. ადგილობრივი მკვიდრის, ჯემალ დავითაძის გადმოცემით, ამ ადგილას იდგა მართმადიდებლური სამლოცველო, რომელიც შემოსევების დროს დანგრეულა. ამ ადგილას გადიოდა საცალფეხო გზა, რომლითაც ხიჭაური, ახალდაბა უკავშირდებოდა ნიგაბეულს, ჩანჩხალოს და ამ გზების გავლით ხულოს. ნასაყდარის ადგილას ამჟამად არაფერია შემორჩენილი, მხოლოდ მის მიდამოებში

მიმოფენილია უზარმაზარი ქვები (ჯემალ დავითაძე, დაბადებული 1942 წელს. ჩანერის დრო - 02.05.2019).



სოფელ ბრილში არსებობს ტოპონიმი ნაქილისვარი, რომელსაც ადგილობრივები წმინდა ადგილად მიიჩნევენ. ადგილობრივი მკვიდრის, თემურ ზოიძის გადმოცემით, სოფელში არსებობდა პატარა საყდარი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაუნგრევიათ. ამ ადგილას დღეს მხოლოდ ერთი დიდი ზომის ქვაა შემორჩენილი და დანარჩენი ქვის ნაშალი ადგილობრივ მოსახლეობას გაუნაწილებია და სახლის საძირკველად გამოუყენებია (თემური ზოიძე, დაბადებული 1969 წელს. ჩანერის დრო - 15.05.2019 წელი).



თავი IV. ჭვანისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

ყველაზე ძველი არქეოლოგიური ნივთი, რომელიც აღმოჩენილია ჭვანისწყლის ხეობაში, სოფელ ჭვანაში შემთხვევით აღმოჩენილი კაჟის ისრისპირია. ხეობაში არსებული მიწისზედა მატერიალური კულტურის ჩვენთვის ცნობილი ძეგლებიდან გამოვყავით სამი ჯგუფი: წარმართული ძეგლები, სასიმაგრო-თავდაცვითი და საგზაო ნაგებობები. წარმართული ძეგლები წარმოდგენილია სოფ. ნაღვარევთან, მერიაყელის მთასთან აღმოჩენილი ქვაკაცებით. სასიმაგრო-თავდაცვითი ნაგებობები: ჭვანის ციხე, კავიანის ციხე. საგზაო ნაგებობებიდან ჭვანის თაღოვანი და ხაბელაშვილების ხიდები.

წარმართული ძეგლები

ქვაკაცები

ქვებისადმი თაყვანისცემის ტრადიცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება. მათგან ყველაზე პოპულარული და ამოუცნობი აღდგომის კუნძულის მონოლითური ქანდაკებებია. რა თქმა უნდა საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს, აქაცაა შემორჩენილი წარმართობის დროინდელი ძეგლები. ქრტიანობის დამკვიდრებამდე წარმართულ საქართველოში ადამიანები თავად ქმნიდნენ, ან უჩვეულო ზომითა და ფორმით გამორჩეულ ქვას ანიჭებდნენ ღვთაების ფუნქციას და სწამდათ რა ამ ქვების მაგიური ძალის, სწირავდნენ მსხვერპლს, ასრულებდნენ საკულტო რიტუალებს. ქართულ ფორკლორში დღესაც ცოცხლობს გადმოცემები ქვაკაცების შესახებ.

შესწავლილი ქვაკაცების მიხედვით გამოიყოფა სამი ტიპის ძეგლი: 1) ქვებით ნაგები კაცისმაგვარი ფიგურები, 2) მონილითურ ქვაში გამოკვეთილი გამოსახულება, რომელზეც შეინიშნება კაცის თავი, ყურები და თვალები, 3) მონოლითურ ქვაში ცხოველის გამოსახულება, რომელზეც რელიეფურად ამოკვეთილია თავი, ყურები და თვალები 16 . პირველი ტიპის ქვაკაცების თაყვანისცემის ფაქტები ჭვანის ხეობაშიც დასტურდება. ქვაკაცები დაფიქსირებულია სოფელ ნაღვარევთან ახლოს, მერიაყელის მთის მიდამოებში. მეცნიერები მათ წარმართული ეპოქის ძეგლად მიიჩნევენ. ჭვანის ხეობის ქვაკაცები არაა მონოლითი, პატარა ქვებისაგანაა შედგენილი. ალექსანდრე დავითაძე, რომელიც სამეცნიერო ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ჭვანის ხეობაში, აღნიშნავს, რომ ქვაკაცები დროთა განმავლობაში ირღვეოდა ბუნებრივი მოვლენების

16 ბ. ღიასამიძე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმები ქვემო აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ბათუმი. 1981, გვ. 99

ზემოქმედებით. მოსახლეობა მათ თავიდან აღადგენდა და შესაბამისად დღეს ისინი კარგადაა დაცული¹⁷. პატარა ქვებისაგან ნაგები ქვაკაცები „შიდი ტბის“ (წმინდანის ტბა) მიდამოებშია მიმოფანტული. მოსახლეობა ადგილსაც ქვაკაცას ეძახის. აქ გვალვების ან დიდი წვიმების დროს საკულტო რიტუალი ტარდებოდა და წარმოებდა მსხვერპლშენიერვა. ეს მიდამოები ხეობის მოსახლეობისთვის წმინდად ითვლებოდა¹⁸.

საკულტო ქვაკაცებად მოიხსენებს ჭვანის ხეობის საზათხულო საძოვრებზე არსებულ ქვების წყობას ზ. თანდილავა¹⁹. ამჟამად და არც რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ ფიქსირდება საკულტო დანიშნულება ქვების მიმართ. მისი მოსაზრებით ქვაკაცებს დღისათვის საკულტო ფუნქცია დაკარგული აქვთ²⁰.

სულ სხვა დანიშნულებას ანიჭებენ ქვაკაცებს ადგილობრივი მცხოვრებლები: ნაღვარეველი სწავლული იოსებ ქათამაძე ამტკიცებს, რომ მსგავსი ქვაკაცები ახალგაზრდობაში მრავლად გაუკეთებია ნისლიან მთებში საქონლის ძებნისას გზის გაკვლევისა და უკან ადვილად დაბრუნების მიზნით. ყოვლად შესაძლებელია ქვაკაცები საჭიროებისას გამოყენებული გზამკვლევი ყოფილიყო ან ქვაკაცებს

17 ალ. დავითაძე, ჭვანის ხეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 168

18 ბ. დიასამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100

19 ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბილისი, 1980. გვ. 45

20 ზ. თანდილავა, ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 1, თბილისი, 1974, გვ. 18

დროთა განმავლობაში პრაქტიკული ფუნქცია შეეძინათ 21 . საცნაურია, რომ ტოპონიმ „ქვაკაცას“ ადგილობრივი მოსახლეობა გზის მანიშნებლად იყენებს. ძველი ბერძენი ავტორების ცნობით, კოლხებს წესად ჰქონიათ გზაჯვარედინებზე ქვისა და ხის სანიშნობლების მოწყობა, რომელიც მგზავრს გზის მიმართულებას აცნობდა. მათივე ცნობით, ასეთ სანიშნობლებს „კვირბები“ რქმევიათ და ადგილობრივი დამწერლობით მათზე საცნობარო წარწერა ყოფილა ამოკვეთილი. კვირბებს ერთგვარ რუკებად მიიჩნევენ. ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ იქნება ამ მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება.

სასიმაგრო-თავდაცვითი ნაგებობები

ჭვანის (ტაკიძეების) ციხე


საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად აჭარისწყლის ხეობაც მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია უკავია საფორტიფიკაციო ნაგებობებს. სოფელ ჭვანაში (ტაკიძეების უბანი - ჭვანისწყლის ხეობა) ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის აჭარისწყლის ხეობის რაზმმა გათხრითი სამუშაოები ჩაატარა შუასაუკუნეების ციხის ტერიტორიაზე. ჭვანისწყლის ხეობა აჭარისწყლის ჰიდროსისტემაში ერთ-ერთი უდიდესია და გამოირჩევა ხელსაყრელი

21 მარიამ შალიკავა, ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2009, გვ. 198-9


გეოგრაფიული მდებარეობით. იგი სათავეს იღებს აჭარა-გურიის მთებიდან და მდინარე აჭარისწყალს ერთვის ხიჭაურის მიდამოებში. ჭვანისწყლის ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა შიდა და გარე რაიონებთან დამაკავშირებელი გზები. ამ გზებით შეიძლებოდა დაკავშირება აჭარისწყლის ხეობის შიდა პუნქტებთან და აჭარა-გურიის მთებზე არსებული ზეკარებით ქობულეთის და ოზურგეთის რაიონებთან.

ჭვანის (ტაკიძეების) ციხე აღმართულია მდინარე ჭვანისწყლისა და მის მარცხენა შენაკად ოთოლთის წყლის ხერთვისში, წინ წამოწეული მთავარანგელოზის მთის წვერზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას ციხე ყელსაც უწოდებს, ასევე მოიხსენიებენ ოთოლთას ციხის სახელითაც (ოთოლთას წყლიდან გამომდინარე). ციხიდან ოთხივე მხრივ კარგად მოჩანს ვრცელი ტერიტორია თითქმის 20-30 კილომეტრის მანძილზე. როგორც ჩანს, იგი წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემის, მთავარ შემადგენელ ნაწილს და გადამწყვეტ როლს თამაშობდა მთლიანად აჭარისწყლის ხეობის დაცვის სისტემაში. ციხე, ერთი მხრივ, პირდაპირ უცქერს ჭვანისწყლისა და ხეობის შესართავთან არსებულ კავიანისა და, მეორე მხრივ, ქვემო და ზემო აჭარის საზღვარზე არსებულ დანდალოს ციხეებს, რომელიც თავის მხრივ აჭარისწყლის ხეობის ციხეთა ერთიანი სისტემის საკმაოდ მსხვილი რგოლებია. ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესაძლებელია ციხის საერთო გეგმის აღდგენა და ძეგლის ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა სახის ნაგებობათა დანიშნულებისა და ძეგლის მშენებლობის დროის მიახლოებითი განსაზღვრა. ციხის ბუნებრივად დაცულ მხარეებს აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი წარმოადგენდა. აქედან აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები

კლდით მდინარე ჭვანისწყლამდე ეშვება. რაც შეეხება დასავლეთ მხარეს, ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი კედლები იცავს.



ციხის გეგმა არანესიერი სამკუთხესის ფორმას იძლევა დადამხრობილის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რაც რელიეფური თავისებურებითაა განპირობებული. ციხის ფართობი 936 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ციხის აღმოსავლეთ გალავნის სიგრძე 49 მეტრს შეადგენს და კლდის ქანის მოსწორებულ ზედაპირზეა ნაშენი. კედელს სიმტკიცისთვის დატანებული აქვს ნახევრადწრივები კონტრფორსები, რომელთა შორის მანძილი 2.5-3 მეტრამდეა. გალავნის სისქე სხვადასხვანაირია და 1.6-2მეტრამდე მერყეობს. ციხის ეს მხარე ხეობისკენაა მიმართული, ამიტომაცაა, რომ მასში სამი სათვალთვალო სარკმელია ჩატანებული. გალავანი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული (დანგრეული). შედარებით ნაკლებადაა დანგრეული ჩრდილოეთი გალავანი.



ციხის ჩრდილო-დასავლეთით კუთხეში აღმართულია ნახევრადწრივხაზის კოშკი. დასავლეთი კედლის საერთო სიგრძე 18.5 მეტრია. მას ჩრდილოეთ ნაწილში დატანებული აქვს 4 კომბრტორსი. გალავნის სისქე მერყეობს 1.5-2 მეტრს შორის, ხოლო კედლის მაქსიმალური სიმაღლე უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში არის 3.8 მეტრი. გალავანს აქვს სხვადასხვა სიმაღლეზე დატანებული აქვს სათვალთვალ საარკმლები. მეტად საინტერესოა დასავლეთის გალავანი, სწორედ ამ სექტორშია თავმოყრილი ბუნებრივი კლდის შვერილები. ციხის მშენებელთა ეს ხელსაყრელი მომენტი მაქსიმალურად გამოუყენებიათ. დასავლეთი გალავნის დასაწყისსა და ჩრდილოეთ გალავნის დასასრულს ჩართული ნახევარწრივხაზის კოშკის მიდამოებიდან იწყება მასიური კლდის ამონაზარდი. კლდე კოშკის ძირში შედარებით დაბალია, მაგრამ სამხრეთით გალავნის ცენტრალურ ნაწილში მალლა

ინვეს. იგი ფაქტიურად შიდა ციხის დასავლეთ კედელს ქმნის, რომლის სიმაღლე 11.25 მეტრია. მშენებელს კლდის დასავლეთი ნაწილი ხელოვნურად დაუტერასებია, ამით, ერთი მხრივ, მთელ სიგრძეზე გალავნის მშენებლობისათვის შეუქმნია საკმაოდ მძიმე საძირკველი და, მეორე მხრივ, საკმაოდ ფართო საფეხური თავისუფალი მოძრაობისთვის. ციხის აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს ციტადელის ნაწილს, რომლის საერთო ფართობი 55 კვადრატული მეტრია, ამ დიდი სათავის იატაკიდან ჩასასვლელია სამალავში. გალავანსა და ბუნებრივად არსებულ კლდეს შორის იატაკის დონემდე ამოვსებულია ფლეთილი ქვებითა და დუღაბის ხსნარით, ხოლო ნაწილი ქვა-ლორღით. ციტადელის ხელოვნურად შექმნილი მოსწორებული ზედაპირი გამოუყენებიათ სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობების გასამაგრებლად. ციხის დასავლეთ გალავანი ცენტრალური ნაწილიდან დაბლა ეშვება, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს და აღმოსავლეთი გალავნის მსგავსად ოთხკუთხა კოშკს ებმის. გალავნის ამ მონაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილსაც საძირკველად სალი კლდის ბუნებრივი შვერილები აქვს, რითაც იგი მიუვალი ხდებოდა. რაც შეეხება უკიდურეს სამხრეთს, აქ კლდე აღარ ჩანს და გალავანი უშუალოდ თიხნარ დედაქანზეა დაშენებული, რაც მტერს აძლევდა საშუალებას კედელს მიახლოებოდა. ამ სუსტი ადგილის გასამაგრებლად კლდის ბუნებრივ შვერილებსა და კოშკს შორის ამოუჭრიათ საკმაოდ დიდი ზომის (სიგრძე- 6.5მეტრი; სიგანე - 1.6 მ-1.8 მ)თხრილი, რომელიც წყლით ივსებოდა და ერთგვარ საიმედო ბარიერს წარმოადგენდა. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ციხის ცენტრალური შესასვლელიც. ციხეს აქვს მეორე შესასვლელიც, იგი დასავლეთი გალავნის მეორე მონაკვეთის დასაწყისშია. აქ მთელ სიგრძეზე გამოკვეთილია საფეხურები (12 საფეხური). ციხის მთავარი შესასვლელის

აღნაგობის განსაზღვრა ვერ ხერხდება, რადგან გალავანი საძირკველის დონემდეა დანგრეული. ციხის პირველი კოშკი მოთავსებულია ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, რომელიც ნახევარწრისებური ფორმისაა და გალავნის მსგავსად კლდის შვერილებზეა დაშენებული. კოშკის დიამეტრი 3.3-3.8 მეტრია. კედლის სისქე - 1.3 მეტრია. კედლის ზედა ნაწილი მორღვეულია, მაგრამ შემორჩენილი ნაშთებით ჩანს, რომ იგი ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს მეორე სართულის იატაკის საყრდენი კოჭებისთვის კედელზე დატანებული ღრმულები. ამ კოშკის პირველი სართულის სიმაღლე - 3.7 მეტრია, ხოლო შემორჩენილი საერთო სიმაღლე 4.25 მეტრს აღწევს. კოშკის შესასვლელი ადგილი დადგენილი არაა. მას, როგორც სხვა ციხეებს ანალოგიური კოშკების მსგავსად, წმინდა საბრძოლო ხასიათი უნდა ჰქონოდა. მასში შეღწევა შეიძლებოდა მეორე სართულიდან. მეორე კოშკი ჩართულია აღმოსავლეთი და დასავლეთი გალავნების სამხრეთი თავშეყრის ადგილას. იგი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს. მისი აღმოსავლეთი და სამხრეთი საძირკველი კლდის შვერილებზეა დაშენებული, დასავლეთი მხარე კი - დედაქანზე. ჩრდილოეთი მხარე უშუალოდ ციხის ეზოსკენაა მოქცეული და დაცვის დამატებით საშუალებებს არ საჭიროებდა. მისი გარე ზომებია 4.5-4.2 მეტრი. კედლის სისქე - 1.2 მეტრია. კოშკი თითქმის საძირკველის დონემდეა დანგრეული. მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1.65 მეტრს აღწევს. კოშკის იატაკის დონის დაბლა მოთავსებულია ორი თონე. კოშკები გადახურული უნდა ყოფილიყო ყავრით, რომლის დანახშირებული თუ დამწვარი ფრაგმენტები მრავლადაა ციხის ტერიტორიაზე. ჭვანის ციხეზე წარმოდგენილია ორი ფორმის - წაგრძელებული სწორკუთხა და ნახევარწრისებური ფორმის კოშკები. სწორკუთხა მოყვანილობის კოშკები ანტიკურ და შუასაუკუნეთა ხანაში საქართველოში გავრცელებული იყო


(ბაგინეთი, ღარიალი, უჯარმა და სხვა). ამ ციხეების კოშკების ერთი ან რამდენიმე კუთხე მრგვალდებოდა. განვითარებული შუასაუკუნეების ეპოქის ციხეებში კვლავ სწორკუთხა კოშკებია, მაგრამ შემოდის ახალი სისტემაც ნახევარწრივები კოშკები. როგორც ჩანს ასეთი კოშკები ქმნიდა დამატებით საბრძოლო მოედნებს, საიდანაც იცავდნენ ციხის კედლებს. ყველა კოშკი და გალავნის კედლები აგებულია ადგილობრივი ქვით, აქა-იქ გამოყენებულია კვადრატებიც. ქვების სიმაღლე იცვლება 15-25 სანტიმეტრამდე. კუთხეების გადაბმის ადგილას გვხვდება 26-35 სანტიმეტრის ფარგლებში. კედლის წყობა ძირითადად არაწესიერია. ციხე ცენტრალურ ნაწილში არსებული კედლით თითქმის ორ თანაბარ ნაწილადაა დაყოფილი. გამმიჯნავი კედელი საძირკვლის დონემდეა მორღვეული, შესაძლებელია ციხის ნაწილებს შორის დამაკავშირებელი შესასვლელიც აქ ყოფილიყო. სხვა მხრივ, მათი დაკავშირება, თუ არა საიდუმლო გვირაბით გამორიცხული იყო. გამმიჯნავი კედელი საკმაოდ სქელია (1.4 და მაღალი 8.3 მეტრია). ციხის უმთავრესი ნაწილი ნაწილი მდებარეობს ჩრდილი-აღმოსავლეთ ნაწილში კლდის ტერასსზე, ხოლო მისგან სამხრეთით - ეზო. შიდა ციხის ეს ნაწილი სამი მხრივ (აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი) შემოსაზღვრულია გალავნის კედლით, ხოლო სამხრეთით - გამმიჯნავი კედლით. შიდა ციხისთვის მიუციათ არაწესიერი მართკუთხედის ფორმა. შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში აღმოჩენილია ქვის წყობის ნაშთები, რომელის გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის საძირკველს წარმოადგენს. ამ მონაკვეთში ხშირად გვხვდება ხის დანახშირებული ძეღის ფრაგმენტები. საყურადღებოა ციხის ამ ნაწილში აღმოჩენილი ქვევრები, თონეები და კერამიკული მასალა, ასევე ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში თირში ამოჭრილი რეზერვუარი და სხვა. ციხის

ეზოს ტერიტორია ტოლგვერდა სამკუთხედისებრი მოყვანილობისაა. დაკვირვებების შემდეგ სავარაუდოდ ციხის ტერიტორიაზე ხის ნაგებობანი უნდა ყოფილიყო. ციხის ეზოში აღმოჩენილია კიბე და მის ქვემოთ საიდუმლო გვირაბი (ციხის ეზოს ჩრდილოეთი მონაკვეთის შუა ნაწილში). სიმაღლეთა სხვაობა პირველ და ბოლო საფეხურს შორის 4-4 მეტრია. კიბითა და გვირაბით შეიძლებოდა ციხის ციტადელზე ასვლა და იქიდან ხის კიბის გამოყენებით შიდა ციხის ტერიტორიაზე ჩასვლა. კიბის სიგრძე 8 მეტრია და აქვს 12 საფეხური. კიბის ქვეშ მოთავსებული გვირაბი ნაკვეთილი პირამიდის ფორმისაა. დასაწყისში შედარებით ვიწრო დაბალია (0.95 მეტრი - 1.8 მეტრია). სიღმეში იგი თანდათანობით იზრდება (სიგანე 1.2 მ, სიმაღლე კი კიბის სიმაღლის შესაბამისად 4.2 მეტრია). გვირაბში შესასვლელი მოწყობილია ქვედა ნაწილში, იგი ჰგავს კარებს, რომლის წირთხლებში ორივე მხარეს დარჩენილია ურდულის გასაყრელი ბუდეები. მისი ჩაკეტვის შემთხვევაში მტერი ციხის ეზოს ტერიტორიაზეც, რომ მოხვედრილიყო შიდა ციხე და ციტადელი მაინც მიუვალი იქნებოდა. გვირაბი კიბის შემდეგაც გრძელდებოდა სამხრეთ დასავლეთით და საკმაოდ დიდი მოცულობის წყლის რეზერვუარს უერთდებოდა. როგორც ჩანს, გვირაბს ჰქონდა მეორე დანიშნულებაც - იგი გამოყენებული იყო ჩამონადენი დანაწრეტი წყლების თავშეყრის, ფილტრაციის და წყლის რეზერვუარში მიწოდების საშუალებად. ასე რომ, ციხის ეზოსაც გააჩნია საკუთარი წყლის რეზერვი. ციხის ეზოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში მთელ სიგანეზე გვირაბამდე და მთელს სიგრძეზე წყლის რეზერვუარამდე დადასტურებულია თირი მიწის ქანზე მოყრილი და მოსწორებული საკმაოდ სქელი (30-35 სმ) მდინარეული ქვიშნარი ფენა. მას, როგორც ჩანს, ორმხრივი დანიშნულება ჰქონდა: ეს ტერიტორია ყოველთვის მშრალი იყო და მეორე მხრივ

ფილტრავდა ჩამონადენ წყლებს, რომელიც შემდგომ ჩაედინებოდა რეზერვუარში. ციხის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩენილია საკმაოდ მოზრდილი მარანი - 8 ქვევრით. მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი, რომლის გარკვეული ნაწილი მოჭიქულია, ასევე ლითონის ნაწარმიც, რკინის ისრისპირი, მცირე ზომის რგოლები და სხვა. ციტადელის დასავლეთით არის შემალღებული ნაწილი, რომელსაც სამხედრო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ერთი მეორის გვერდით დადასტურებულია საკმაოდ მოზრდილი ორი ორმო. შესაძლოა, ისინი სამალავეებად ყოფილიყო გამოყენებული ან გუზაგვთა საიდუმლო სამზერს წარმოადგენდა. ორმოების ახლოს კედელში ჩამოსული იყო სამი საკმაოდ დიდი ქვევრი, რომლებიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო პროდუქტის შესანახად. უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია ორმოს ტიპის ნაგებობა, რომელიც სანიშნე კოცონის დასანთებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მისგან სამხრეთით აღმოჩენილია ხარო, სადაც სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურის ნაშთებია დაფიქსირებული. ციხის რთული რელიეფის გამო მისი წყლით უზრუნველყოფა რთული იყო. ამიტომაც აქ აქაურ მკვიდრთ და ციხის მშენებელთ ციტადელსა და ეზოში აუგიათ წყლის ორი რეზერვუარი წვიმის წყლებისათვის. პირველი რეზერვუარი მდებარეობს შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ორმოს აქვს წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობა (სიგრძე - 4.2 მ, სიგანე - 2,8 მ). რეზერვუარის ერთი ნაწილი ჩაჭრილია თირში, ხოლო დანარჩენი - სალ კლდეში. ორმოს ძირში განთენილია 30-40 სმ სისქის ქვიშნარი ფენა, რომელიც დროთა განმავლობაში უნდა დაგროვილიყო რეზერვუარის ფსკერზე, პირველ რეზერვუარში ჩაედინებოდა თიხნარი ქანიდან ჩამოდენილი, დანანრეტი და გაფილტრული წყლები. სალ კლდეში ჩაჭრილ ორმოში ხდებოდა წყლის


თავმოყრა ისე, რომ წყლის ზღვრული რაოდენობით შეგროვების შემდეგ ჭარბი სითხე 1.8 მეტრის სიღმეზე არსებული თირნარით გარეთ გამოედინებოდა. ამით შესაძლებელი ხდებოდა წყლის გარკვეული რაოდენობის შენარჩუნებაც და მისი მუდმივი განახლებაც. პირველი რეზერვუარის პირის დონეზე ირგვლივ შემოყვებოდა 10-30 სმ სიგრძის თარო, რომელზეც სახურავის ძელები ეწყობოდა. ასეთი ძელების ნაშთები აღმოჩენილია რეზერვუარის ფსკერზე. მეორე რეზერვუარი მდებარეობს ციხის ეზოს სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში. ის საკმაოდ მოზრდილია და მომრგვალებული კუთხეები აქვს. რეზერვუარში აღმოჩენილია საკმაოდ კარგად დაცული ხის ორი ბოძი, რომელიც წყლის ამოსაღები მონყობილობის გასამართავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აქვე აღმოჩენილია ქვიშის საკმაოდ სქელი ფენა (50-60 სმ), ასევე, დოქების და სხვა ჭურჭლის ნატეხებიც. რეზერვუარი ძირითადად ჩამონადენი წყლით იკვებებოდა. პირველი რეზერვუარისგან განსხვავებით მას ჰქონდა დამატებითი მკვებავი არტერია-გვირაბი, რომლის კიბის ქვეშ მდინარის ქვიშა საკმაოდ სქელი ფენაა (50-60 სმ). ქვიშის ყრილი, რომლის სისქე 10-15 სმ აღწევს, კიბესა და რეზერვუარს შორის არსებულ მონაკვეთზეც ვრცელდებოდა. ქვიშაყრილზე ზემოდან 5-7 სმ სისქის თიხატკეპნილიც გაუკეთებიათ. თიხატკეპნილის ქვეშ მოექცა ქვიშაყრილი, რომელიც წყალს საკმაოდ კარგად ატარებდა, ფილტრავდა და რეზერვუარს აწვდიდა. ტაკიძეების ციხის ახლოს მცხოვრებ ა. ტაკიძის, მ. ტაკიძის, მ. ცინცაძისა და სხვათა მონათხრობის მიხედვით, წყალგაყვანილობის ასეთი სისტემა ბოლო პერიოდამდე არსებობდა აჭარისწყლის ხეობის ზემო ნაწილის მოსახლეობის ყოფაში. მათი გადმოცემით, ადრე, როცა წყალგაყვანილობის გასამართავი საშუალებებისადმი ხელმოკლეობას განიცდიდნენ, ზოგიერთი მცხოვრები

მოძებნიდა სახლთან ახლოს ე. წ. „ჭორტო“ ადგილებს, აქედან სახლამდე გაჭრიდნენ საკმაოდ ღრმა (70-80 სმ) თხრილს, ძირში მთელ სიგრძეზე ჩაყრიდნენ 15-20 სმ სისქის ყანის ხიჭს (ხრეშს), ზემოდან ქვის ხავსს დაათენდნენ და მიწას დააყრიდნენ. ცენტრალური არხით წყალი მიემართებოდა დანიშნულების ადგილისაკენ, სადაც დგამდნენ ავაზანს (წყალშემკრები) და იღებდნენ გაფილტრულ შეგროვებულ წყალს. გვირაბს ჰქონდა ორმხრივი დანიშნულება: ერთის მხრივ, იგი წარმოადგენდა ციხის ორივე ნაწილის საიდუმლო დამაკავშირებელ გზას და, მეორე მხრივ, იგი წყალგაყვანილობის სისტემით ასაზრდოებდა ციხის ეზოს ტერიტორიაზე მოთავსებულ წყლის ავზს. ჭვანის ციხის წყლით მომარაგების სისტემა, შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი მარანი: ერთი შიდა ციხის, ხოლო მეორე - ეზოს ტერიტორიაზე. შიდა ციხის ტერიტორიაზე სულ 10 ქვევრია აღმოჩენილი, მათ განლაგებაში რაიმე გარკვეული კანონზომიერება არ შეინიშნება. 5 ქვევრი მოთავსებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, 2 - აღმოსავლეთ გალავნის ცენტრალურ ნაწილში, ხოლო 3 - დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში. ქვევრების უმრავლესობა დაზიანებულია. 10 ქვევრიდან 8 მიწაში ჩაკირვის გარეშეა ჩადგმული, 2 კი ჩაკირულია. უდიდესი ქვევრის სიმაღლე 1.62 მ, მუცლის დიამეტრი - 0.84 მ, პირის -




0.38 მ, კედლის სისქე - 0.2 მ. გამოიყოფა სადა ზედაპირიანი და ორნამენტით დაფარული ქვევრები. ორნამენტიდან გვხვდება მიჯრით განლაგებული წრიული ნაჭდევეები, ხშირი ნაჭდევეებით შემკული რელიეფური ნიბოები, კონცენტრული ღარები. ქვევრებს გარედან სადა, ზოგ შემთხვევაში დაკბილული სარტყლები შემოუყვება. ყველა მათგანი საღვინე ჭურჭელი უნდა ყოფილიყო. მეორე მარანი აღმოჩენილია ციხის ეზოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. მარანში საშუალო ზომის 8 ქვევრია. ისინი თირ ქანში წინასწარ სპეციალურად ამოჭრილ ორმოებშია ჩასმული. 7 ქვევრი დაკიდულია, ქვევრების უმრავლესობა კი დაზიანებული.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ოთხი თონე, რაც პირველი შემთხვევაა აჭარისწყლის ხეობაში, ორი თონე მოთავსებული იყო შიდა ციხის ტერიტორიაზე, ორი კი - ეზოში. პირველი თონე აღმოჩენილია შიდა ციხის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში. მომტვრეულია ზედა ნაწილი, ის თითქმის ნახევრამდე მინაში იყო ჩათვლილი. თონეს ოვალურია (დიამეტრი 70 და 75 სმ), კედლის სისქე თიხატკეპნილთან ერთად 7 სმ. თონის შიდა ზედაპირი დაფარულია ბადისებურად დაშტრიხული ვარდულებით, რომელიც მრგვალი საშუალო ზომის საბეჭდავითაა დაცული. ასეთივეა მესამე და მეოთხე თონეებიც. ვარდულები დანიშნულება იყო პურის გუნდა თონის კედელზე მყარად მიკრულიყო. ესთეტიკურის გარდა, თონის ორნამენტს გააჩნდა რიტუალური ფუნქციაც. მეორე თონე სხვა თონეებისაგან განსხვავებით შემკულია 7 ან 8 ფურცელა ყვავილების ორნამენტით.



ციხეზე მოპოვებული მასალები ძირითადად აღმოჩენილია ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, პირველი კოშკის, საიდუმლო გვირაბის კიბის ქვეშა ნაწილში და ციხის ეზოში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროის ნივთები არეულია ერთმანეთში მაინც შესაძლებელია სამი პერიოდის მასალების გამოყოფა (ანტიკური, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ხანა). ანტიკური ხანის მასალები ძალზე მცირეა და ისინი წარმოდგენილია ქვევრის პირების თუ ტანის და სხვა ნატეხებით. ერთ-ერთი მათგანის ზედაპირზე დისკოსებური ფორმის ბურცობის ირგვლივ დატანილია ორნამენტები. თიხა მოყვითალოა და ანალოგიებს პოულობს ზღვისპირა ზოლის მასალებთან და ძირითადად ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება.

შედარებით სიმრავლით გამოირჩევა მეორე პერიოდის (XI-XIII საუკუნეები)



მასალები, როგორცაა ქვევრების პირისა თუ ტანის ნატეხები, დერგების პირ-გვერდის, საღვებლების პირისა და ტანის, ქოთნების, დოქების, ხელადების, სასმისების, ჯამების, კეცების, დისკოსებური ფორმის ნივთების და სხვა ჭურჭლის მთლიანი ნიმუშები თუ ნატეხები. მცირე რაოდენობით გვხვდება გვიანშუასაუკუნეების მასალებიც.

საინტერესოა ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა. აქ უმეტესად ჯამების პირის, ტანისა და ძირის ფრაგმენტებია. გამოიყოფა XII-XIII საუკუნით დათარიღებული ყვითლად და მწვანედ მოჭიქული და ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამები (ანალოგიური ჯამის ფრაგმენტი აღმოჩნდა

ბათუმისციხეზე, XIV ს). აღმოჩნდა მოგვიანო პერიოდის მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტებიც. მოუჭიქავი სამზარეულო ჭურჭლიდან გამოირჩევა მორჩისებურყურიანი ქოთნები. ცალკე აღნიშვნის ღირსია ერთ-ერთი ქოთნის ფრაგმენტი წვრილნახვრეტიანი მორჩისებური კოპით. ჭვანის ციხის გათხრებისას აღმოჩნდა ყურმილიანი ხელადის ფრაგმენტები. ხელადას აქვს მაღალი, ვიწრო ცილინდრისებრი მოყვანილობის ყელი, ოდნავ გარეთ გაფართოებული პირი. ყელის არეში დაძვრნილია მილიანი ყური (ყურმილიანი ჭურჭელი დამახასიათებელია ადრეული ეპოქებისათვის და ამ თვალსაზრისით ფორმის აღმოჩენა საყურადღებოა). მოუჭიქავი კერამიკა თარიღდება XI-XIII სს. ლითონის ნაწარმიდან საინტერესოა რკინის ისრისპირი ფოთლისებური პირით, რომლის მსგავსი აღმოჩენილია უინვალის ნაქალაქარისა თუ ფშავის არაგვის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე²². აღმოჩნდა ცხენის ნალი, სკივრის სახელური, ლურსმნები.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი პერიოდის ნაწარმიდან გამოვყოფთ ჩიბუხებს, ისინი ძირითადად XVI-XIX სს თარიღდება²³.

კავიანის ციხე

კავიანის ციხე მდებარეობს დაბა ხიჯაურის გაღმა, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე. კავიანის ქედის შუა მონაკვეთზე ხეობისაკენ გაზიდული კლდოვანი ბორცვის თავზე. ორივე მხრიდან მშრალი ხევები ესაზღვრება. მისი

22 შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 1993, გვ. 70

23 შ. მამულაძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 71

თვალთახედვის არეალში ექცეოდა აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის ხერთვისი და შესაბამისი საგზაო კომუნიკაციები. აქედან შესანიშნავად მოჩანს არსიანის თუ აჭარა-გურიის მთებამდე არსებული სივრცეები, ფერდობებზე შეფენილი სოფლები. იგი პირდაპირ გასცქერის ჭვანის (ოთოლთის, ტაკიძეების) და ჩანჩხალოს ციხეებს. საიმედოდ იყო ჩართული მთლიანი ხეობის ერთიანი თავდაცვის სისტემის ჯაჭვში. როგორც წესი, ციხის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. გალაგნის კედლების უმეტესობა კლდის კედლებზეა აღმართული, მათი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებული ოთხკუთხა ფორმის კოშკის აღმოსავლეთი კედელი, დანარჩენი თითქმის საძირკვლების დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე შიგნიდან 12-13 მეტრს აღწევს. იატაკის მანიშნებელი ფოსოების მიხედვით იგი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. ამავე კედელში მოჩანს გრძივი ფორმის (16x70სმ. 35x75სმ) სარკმლებიც. ასევე შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ოთხკუთხა ფორმის კოშკიც. ესეც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. მასაც კედლებში დატანებული აქვს სარკმლები. გადარჩენილია აგრეთვე ციხის ეზოს დასავლეთით 7,5 მ-ის სიგრძისა და 5-6 მ-ის სიმაღლის კედელი მასში დატანილი (50x65 სმ; 35x30 სმ) სარკმლებითურთ. შუა ნაწილშია განგრეული ორ კოშკს შორისი დამაკავშირებელი ჩრდილოეთი კედელიც. სამხრეთით არსებული გალაგნის კედლები საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ციხის შიდა ფართობი 180-200 კვ. მეტრია. იგი ნაშენია ფლეთილი და აქა-იქ რიყის ქვით. ძველი დაახლოებით მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეებით თარიღდება²⁴.

24 ამირან კახიძე, შოთა მამულაძე, აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი 2016 წელი.

კავიანის ციხის შესახებ საუბრობს იური სიხარულიძეც, რომელსაც ეს ციხე აღწერილი აქვს თავის წიგნში (აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები), რომლის მიხედვითაც ციხე შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველის ფართობი 50 მ კვადრატია. აღმართული კედლის სიგრძეა 6,7 მ, ხოლო სიმაღლე შიგნიდან - 12-13 მ. ფოსოების მიხედვით ეს სათავსო სამსართულიანი უნდა ყოფილიყო, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მხოლოდ ორი სარკმელია ჩატანებული ქვედა ნაწილში, სარკმლებს შორის დაშორებაა 1,7 მ, ხოლო მარცხენასი 2,8 მ. დასავლეთ კედლის სიმაღლე შიგნიდან 5,60-7 მ-ია. ამ კედელშიც ორი სარკმელია დატანებული. კოშკში შემონახულია სწორკუთხა ფორმის ორმო, რომელიც შელესილია კირით. ორმო ამჟამად ამოვსებულია მიწით.

მეორე განყოფილების ფართობია - 112 კვ მ. კარგად შემორჩენილია ჩრდილო კოშკი. იგი გეგმაში არანესიერი მრავალკუთხედიანია, რომელიც სამი სართულისაგან შედგებოდა, კოშკში დატანებულია სარკმლები. კარგადაა შემონახული ციხის ეზოს დასავლეთ კედელი - სიგრძით 7,1 მ და სიმაღლით 5,8 მ. კედლის ქვედა ნაწილში ორი სარკმელია დატანებული. კედელს კარგად ამჩნევია ფოსოების რიგი, მიწიდან 2,5 მ სიმაღლეზე დატანებულია სათოფურები. ნაგებია ფლეთილი და აქა იქ რიყის ქვით²⁵.

საგზაო ნაგებობები

ჭვანისწყლის ხეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია აჭარისწყლის საგზაო მაგისტრალთა სისტემაში. ჭვანისწყალი აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადია.

²⁵ იური სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, სახელმწიფო გამომცემლობა, 1962 წ. გვ. 47-48

ხეობის დასაწყისთან ხიჭაურის მოპირდაპირედ აგებულია კავიანის ციხე, რომელიც ცენტრალურ გზას და ჭვანისწყლის ხეობის დასაწყისს აკონტროლებდა. ჭვანის ხეობის მთავარი დამცველი ციხე ჭვანის (ტაკიძეების) ციხე იყო. მთელი ხეობის სათვალთვალ პუნქტი იყო სოფ. ცივაძეების თავზე აგებული ქვის პატარა კოშკი. ჭვანისწყლის ხეობით შეიძლებოდა როგორც ხინო-კინტრიშის ხეობის გავლით ზღვისპირა ზოლთან, ისე აჭარა-გურიის საძოვრებსა და მდ. ნატანების მეშვეობით ოზურგეთთან დაკავშირება. ჭვანის ხეობაზე გამავალი საგზაო პუნქტებია: ხიჭაური, ტაკიძეები, ჭვანა, ცხემლისი, ხაბელაშვილები. ხეობაში მრავლად იყო აგებული თაღოვანი ხიდები.

ხიდების მშენებლობას ჭვანის ხეობაში დიდი ტრადიცია აქვს. ხეობის ორივე მხარის მოსახლეობა ერთმანეთთან დასაკავშირებლად საჭიროებდა და აგებდა კიდევ ხის დახურულ ხიდებს. 1972 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციის მუშაობის დროს მათთვის ცნობილი ხეობის ხიდებიდან ერთი ხიდის მხოლოდ ბურჯები იყო დარჩენილი ჭვანაში, დუმბაძეებისა და ბეჟანიძეების უბანში. მოსახლეობა ამ ხიდს დოლაბა ხიდს უწოდებს, იგი წითელი ხის მორებისაგან იყო დამზადებული. გადახურული ხიდებიდან (ჭვანა, ცხემლისი, ცეკვა, ხაბელაშვილები) ამჟამად მხოლოდ ხაბელაშვილების ხიდია შემორჩენილი.

ჭვანის ხიდი

ჭვანის ხიდი გადმოცემით აუგია თურქთა ბატონობის ხანაში სოფ. ჭალადან (შუახევის რაიონი) ჩანჩხალოში (ნიგაზეულში²⁶) გათხოვილ სურმანიძის ქალს. მზითევი, რომელიც მამისეული ოჯახიდან ერგებოდა, ბარათაულის წყალზე ხიდის მშენებლობისათვის შეუწირავს (აშენდა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის მეუღლის ელმას სურმანიძის მზითევის ხარჯით, აღდგენილია 1968 წ. ღურსუნ სურმანიძის, 1995 წ. რევაზ, ნუგზარ, როსტომ სურმანიძეების მიერ). ხიდი შეტანილია კულტურის ძეგლთა სიაში და დაცულია სახელმწიფოს მიერ. ჭვანის ხიდი აგებულია ბარათაულის წყალზე (ერთვის ჭვანის წყალს მარცხნიდან სოფელ ჭვანაში). ხიდის სიგრძეა 17.20 მეტრი, სიგანე - 2.35 მ. მისასვლელები სხვადასხვა ზომისაა. მარჯვენა მისასვლელის სიგრძეა 7.2 მ, სიგანე - 5.3 მ, მარცხენა მისასვლელის - 3.4 მ, ხიდის მარჯვენა ბურჯის სიმაღლეა 1.58 მ; სიგანე - 2.65 მ, ხოლო მარცხენასი 1.38 მ, დარჩენილი 20 სმ შეადგენს კლდეს, რომელზედაც დაშენებულია ბურჯი. თალის სიგანეა 2.16 მ. ბურჯის გადმონევა სხვადასხვაა. მარჯვენა ბურჯის მარცხენა მხრისა 14 სმ, ხოლო მარჯვენა მხრის 32 სმ. სადაც ბურჯი მთავრდება და თალი იწყება სწორედ იმ ადგილას. პირველ წყებაში დატანებულია 2 ფოსო (მარჯვენა მხარეს ზომებით 28x38 სმ და 27x36 სმ. მარცხენა მხარისა - 28x37 სმ და 23x36 სმ). მალის სიგრძეა 6.30 სმ, ისარი - 3.30 სმ. გადმონევა ლავგარდანისა 5-6 სმ. სისქე ლავგარდანისა - 14 სმ, ხოლო თალისა - 46 სმ. ყურადღებას იქცევს ნახევარწრიული ლამაზი პროპორციულობის თალის ქვების წყობა. ერთმანეთს ენაცვლება განიერი და ვიწრო პარალელური რიგები. ხიდის სავალი ნაწილი დაფარულია მიწით, აქა-იქ ჩანს რიყის ქვები, რომლითაც ის იყო მოკირწყლული. ხიდის აგების თარიღად

26 ალ. დავითაძე, ჭვანის ხეობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 170

განვითარებული ფეოდალური ხანა მიიჩნევა, ხალხური გადმოცემებით ხიდი მე-18 ს უნდა აგებულიყო. ამჟამად ხიდს არ აქვს დიდი დატვირთვა, რადგან მოსახლეობა უშუალოდ მის გვერდით გადებული თანამედროვე ლითონის ხიდით სარგებლობს. აღნიშნული ხიდის გვერდით ძველი ხიდი თითქმის შეუმჩნეველია და ერთი შეხედვით არც კი ჩანს. ასეთი წყობა აჭარის არცერთ ხიდზე არაა შემჩნეული²⁷.

სოფ. ვარჯანაულის ხიდი წყობითა და არქიტექტურით ჰგავს კინტრიშის ხეობის ხიდებს, გადმოცემით იგი აუგიათ სოფელ ჭახათის მცხოვრებ თამაზაშვილებს. შესაძლოა ხიდების ამგები ოსტატები ერთი და იგივე პირები იყვნენ²⁸.

ხაბელაშვილების ხიდი

აღნიშნული ხიდი მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში. ხიდი თავისი ავთენტურობით, მშენებლობისას გამოყენებული ელემენტებითა და გადახურვით უნიკალური და იშვიათია მთელ დასავლეთ საქართველოში. მსგავსი ხიდები აჭარაში მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე იყო შემორჩენილი. ხიდზე მშენებლობისას გამოყენებულია ხის უნიკალური ჯიშები: ურთხელისგან მზადდებოდა ბურჯების მალეები, წაბლის ხისგან - ხიდის მზიდი და საყრდენი მალეები, მუხა გამოიყენებოდა საყრდენ ბოძებად და ურთხელი სახურავის ქვეშ გადახურვისას. სოფლის მკვიდრთა გადმოცემით ხიდი 300 წლის წინ

27 იური სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი. 1962 წელი. გვ. 50-51.

28 ალ. დავითაძე, ჭვანის ხეობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 170

აუშენებიათ და სოფელ ხაბელაშვილებს აკავშირებდა სოფელ ბარათაულთან, ბრილთან და გომარდულთან. ხიდი აუშენებია ხაბელაშვილების მკვიდრს, ვინმე ბერიძეს. ხის კოჭებიანი ხიდი ქვის ბურჯებზეა დაყრდნობილი. იატაკი, მოაჯირი, გადახურვის კოჭები ხისაა. ხიდი მთელ სიგრძეზე ორქანობა სახურავითაა გადახურული. ბოლოებისკენ სახურავი სამკუთხა ფრონტონებით ბოლოვდება. გადახურვა ხიდის მიმყოლად განლაგებულ ბოძებს ეყრდნობა, რომლებიც დახრილად განლაგებული ძელებისგან შედგება. ძელები ჰორიზონტალურად მოთავსებული კოჭებს ეყრდნობა. გადახურვა ეყრდნობა რკალურ ძელებს. ხიდის სიგრძეა - 25 მეტრი. სავალი ნაწილის სიგანე 1.20 მეტრია.

დასკვნა

აჭარისწყლის სხვა ხეობებთან შედარებით ჭვანისწყლის ხეობა არქეოლოგიურად ნაკლებად შესწავლილია. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია, თუ გავითვალისწინებთ რა სრულად და ბრწყინვალედაა ეს მხარე გამოკვლეული და შესწავლილი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. თუმცა, საფუძვლიანად და სიღრმისეულად გამოკვლეული თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი რგოლიც კი, ჭვანის (ტაკიძეების) ციხის მაგალითზე, იძლევა მხარის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

რეგიონში აღმოჩენილი მწირი, მაგრამ არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მასალა ცხადყოფს, რომ განვითარებული შუასაუკუნეებისათვის ეს მხარე მეზობელ რეგიონებთან ერთად განიცდის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ აღმავლობას. ჭვანისწყლის ხეობა, როგორც აჭარისწყლის მაგისტრალური სისტემის შემადგენელი ნაწილი, ჩართულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987
2. ბერაძე თ., ქსე, ტ. 8, თბ., 1984
3. დავითაძე ალ., ჭვანის ხეობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975
4. ღიასამიძე ბ., რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმები ქვემო აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ბათუმი. 1981
5. ვარშანიძე შ., აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1957
6. თანდილავა ზ., ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 1, თბილისი, 1974
7. ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბილისი, 1980
8. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი 2016
9. კომახიძე თ., წარსულის გადასახედიდან. გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 1999
10. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 1993
11. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985

12. სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი. 1962
13. სურმანიძე რ., „გაზეთი აჭარა“ 26 აპრილი, 1997
14. უზუნაძე რ., სახელწოდება ჭვანის ეტიმოლოგიისათვის, გამ. „აჭარა“, N5, 2003
15. ქართლის ცხოვრება, ტომი 2, თბილისი, 1959
16. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995
17. შალიკავა მ., ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2009
18. შაშიკაძე ზ., აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.
19. შაშიკაძე ზ., მახარაძე მ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი, 2011
20. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, 2, თბილისი, 1983, გვ. 484
21. ჯიბუტი ნ., ნიჟარაძე ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957